1.საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სავალდებულო კომპეტენციები:

ა)თანამედროვე, ინტერაქციული სწავლების მეთოდების ცოდნა და მათი გამოყენების უნარი;
ბ)აკადემიური წერის სწავლების, სულ მცირე, ერთწლიანი გამოცდილება უმაღლესი განათლების სექტორში;

გ)მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ან განათლების სფეროში;

დ)საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Word, Excel, PowerPoint) ეფექტურად გამოყენების უნარი.

ე)სასურველია კანდიდატს ქონდეს:

- გავლილი აკადემიური წერის გადამზადების სულ მცირე ერთი კურსი;
- გავლილი მასწავლებლის კვალიფიკაციის ასამაღლებელი სულ მცირე ერთი კურსი;
- ქართულ ენაზე მეტყველებისა და წერის მაღალი კულტურა;
- ინგლისური, გერმანული ან ფრანგული ენის B2 დონის კომპეტენცია.

ვ) პიროვნული თვისებები:

- გუნდური მუშაობის უნარი;
- გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი;
- თვითრეფლექსიისა და ანალიზის უნარი;
- ეფექტური კომუნიკაციის (მოსმენისა და ინფორმაციის გადაცემის) უნარი.

2. კანდიდატმა ელექტრონული ფორმით ერთ ფაილად უნდა გამოაგზავნოს vacancy@iliauni.edu.ge-ზე, საგნის ველში პოზიციის მითითებით: ა) რეზიუმე (CV), სადაც მითითებული იქნება ორი რეკომენდატორის საკონტაქტო ინფორმაცია, რომლებიც დაადასტურებენ კანდიდატის სწავლების უნარსა და/ან აკადემიური წერის გამოცდილებას

ბ) ორი სარეკომენდაციო წერილი

გ) სამოტივაციო წერილი

დ) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის- სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ან განათლების სფეროში, დამადასტურებელი დიპლომი;

ე) ამ დანართის პირველი პუნქტის ,,ე" ქვეპუნტში მითითებული მოთხოვნის დამადასტურებელი დოკუმენტები(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

3. წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე შერჩეულ კანდიდატს გაეგზავნება წერილი მის მიერ რეზიუმეში მითითებულ ელექტრონულ მისამართზე, სადაც მითითებული იქნება გასაუბრების თარიღი და გასაუბრებაზე მოსატანი საბუთების ჩამონათვალი.

4. გასაუბრების დროს, კანდიდატს მოუწევს აკადემიურ წერასთან დაკავშირებულ რომელიმე საკითხზე **<u>მინი-გაკვეთილის ჩატარება (სიმულაცია)</u>.**

5. დასაქმების პირობები:

სამუშაოს განაკვეთი: სემესტრული დატვირთვა 2-3 ჯგუფი, თითოეულ ჯგუფთან სემესტრში 30 საკონტაქტო საათი, 09:00 საათსა და 19:00 საათს შორის, ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით. საკონტაქტო საათების მიღმა, მასწავლებელი მუშაობს სტუდენტების ნაწერებზე, აფასებს და უკუკავშირს აძლევს მათ; აგრეთვე მასწავლებელი მუშაობს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე.